

ოქმი N18

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

2017 წელი, 21 აგვისტო
ქ. ოზურგეთი, 15⁰⁰სთ

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი:
ნ.გოგუაძე.

კომისიების თავმჯდომარეები: ნ.ტაბატაძე, ლ.ბიგვაჯა, ლ.თოიძე,
მ.მახაროზლიძე, ი.საჯაია.

ფრაქციის თავმჯდომარეები: ნ.ორაგველიძე, თ.სალუქვაძე, თ.ნადირიძე.

საკრებულოს წევრები: ლ.მგელაძე, ვ. ჩიგოგიძე, გ.ძიმისტარიშვილი,
ნ.შარაშანიძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ საკრებულოს და მერიის პასუხისმგებელი პირები, მასმედიის და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

არ ესწრებოდნენ: კ.კვაჭაძე.

სხდომას თავმჯდომარეობდა: ნ.გოგუაძე.

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დამტკიცდა ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 დეკემბრის N24 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ნინო გოგუაძე

თანამომხსენებლები: მარიკა ნაცვალაძე

ლაფრენტი ბიგვაჯა

მომხსენებელმა მ. ნაცვალაძემ მუხლობრივად განმარტა წარმოდგენილი პროექტი.

აზრი გამოთქვეს: ნ. შარაშანიძე - წინასაარჩევნოდ რამ გამოიწვია ცვლილებები?

მ. ნაცვალაძე - ტენდერებით და აუქციონებით დაგროვილი თანხების გადანაწილება მოხდა.

ლ. ბიგვაჯა - კომისიამ განიხილა პროექტი, პროცესი ნორმალურია, შესაბამისობაშია კანონთან, წარმოდგენილი პროექტი უნდა დამტკიცდეს. საფუძველის გარეშე არ ხდება არც ერთი ცვლილება.

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილება
დამტკიცდა 10 ხმით

**წინააღმდეგი: თ. ნადირიძე, ლ. მგელაძე, ნ. შარაშანიძე.
დადგენილება თან ერთვის**

2. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: ნინო გოგუაძე

თანამომხსენებელი: თამარ დუმბაძე

მომხსენებელმა თ. დუმბაძემ განმარტა წარმოდგენილი პროექტი.

აზრი გამოთქვას: ლ. მგელაძე - ეს ერთჯერადი დახმარებაა თუ მუდმივი? ხომ არ მიგვეთითებინა პროექტში „ერთჯერადი“. მე ბევრჯერ გავახმოვანე ეს მოთხოვნა. წყლის კომპანია არარეალურად აღრიცხავს გადასახადებს.

გ. ძიმისტარიშვილი - მე თვითონ ვარ ვეტერანი, არ უნდა იყოს მართო წყალი, უნდა იყოს გაზიც და დენიც.

ლ. ბიგვაგა - თუ ეს არის სუბსიდია, დავუფაროთ მთლიანად დავალიანება ან მივცეთ არჩევანის თავისუფლება. აჯობებს დავწეროთ კომუნალური გადასახადებისათვის.

ლ. მგელაძე - მე ვეთანხმები ბატონ ლავრენტის.

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილება

დამტკიცდა ერთხმად

დადგენილება თან ერთვის

3. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: ნინო გოგუაძე

თანამომხსენებელი: ირინე საჯაია

მომხსენებელმა ი. საჯაიამ განმარტა წარმოდგენილი პროექტი და აღნიშნა, რომ ცვლილება გამოიწვია ტექნიკურმა ხარვეზებმა.

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილება

დამტკიცდა ერთხმად

დადგენილება თან ერთვის

4. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: ნინო გოგუაძე

თანამომხსენებელი: ირინე საჯაია

მომხსენებელმა ი. საჯაიამ განმარტა წარმოდგენილი პროექტი და აღნიშნა, რომ ცვლილება გამოიწვია ტექნიკურმა ხარვეზებმა.

**დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილება
დამტკიცდა ერთხმად
დადგენილება თან ერთვის**

5. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ.

**მომხსენებელი: ნინო გოგუაძე
თანამომხსენებელი: ირინე საჯაია**


მომხსენებელმა ი. საჯაიამ განმარტა სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების წესი.

**დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილება
დამტკიცდა ერთხმად
დადგენილება თან ერთვის**

სხდომის თავმჯდომარემ ნინო გოგუაძემ მადლობა გადაუხადა დამსწრეთ და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

ნინო გოგუაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი
ხელმძღვანელობა